

# საუბრები გსეფრთხოებაზე ბავშვებისა და მათი მომავალისთვის



თბილისი  
2022

ტექსტი მომზადებულია ლია სარალიძისა და ქეთი დავითიშვილის მიერ.

ტექსტის რედაქტორი: ნანა შავთვალაძე

მხატვარი-დიზაინერი: გიორგი დოლიძე

©საქართველოს საზოგადოებრივი კანდაცვის ფონდი

თბილისი  
2022

**საეპიკო ესაფრთხეობაზე  
ბავშვებისა და მართლების**



## **წინასიტყვაობა**

ჩვენ ბავშვი გვინდა დავიცვათ მოსალოდნელი ზიანისგან, აღვზარდოთ იგი საზრიანი და თავდაჯერებული. პირადი უსაფრთხოების სწავლების დაწყება ადრეული ასაკიდანვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, საჭირო და შესაძლებელი.

პირადი უსაფრთხოების სწავლების სხვადასხვა გზა არსებობს - სწავლა თამაშით, საუბრები, გართობის, სეირნობის, ბანაობის ან ძილის წინ ზღაპრების დროს. ერთ-ერთი საუკეთესო გზა წიგნების ერთად კითხვაა, განსაკუთრებით კი ისეთი წიგნების, რომლებიც ასაკის გათვალისწინებით მიზნობრივად უსაფრთხოების სწავლებაზეა მორგებული.

ეს წიგნი შექმნილია 2-დან 5 წლამდე ასაკის მშობლებისა და აღმზრდელებისთვის. იგი ითვალისწინებს ათწლეულების კვლევებზე დაფუძნებულ, ადვილად ასათვისებელ რჩევებს, რომლებიც დაგეხმარებათ თავისუფლად ესაუბროთ თქვენს პატარას პირად უსაფრთხოებაზე. გამოიყენეთ ეს რჩევები და დაიწყეთ ლიად საუბარი პირადი უსაფრთხოების შესახებ. ასეთი საუბრები დაიცავს თქვენს პირმშოს, აღზრდასა და განვითარებასთან ერთად საფუძველს ჩაუყრის მის მომავალ უსაფრთხოებას. სწორად და კარგად ინფორმირებული ბავშვები იშვიათად ხდებიან დამნაშავეთა სამიზნე. აგრეთვე, თუ ბავშვი დაზარალდა, მას უნდა შეეძლოს მოვლენისა თუ ქმედების ზუსტად აღწერა.

წიგნი სამი ნაწილისგან შედგება:

თავი პირველი - „შენი სხეულის შესახებ“ - დაგეხმარებათ ასწავლოთ ბავშვს, რომ სასქესო ორგანო მათი სხეულის ბუნებრივი ნაწილია. ამ ორგანოებს აქვთ სახელი და ფუნქცია, ისევე როგორც დანარჩენ სხეულის ნაწილებს. მაგალითად, მათ ყურებს, მუცელს, ხელებსა და ა.შ... ასეთი საუბრები ხელს უწყობს ბავშვებს საკუთარი სხეულის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ასევე, ასწავლის ბავშვს ფიზიკური კონტაქტის დასაშვებ საზღვრებს, რაც ბავშვის უსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოვანესია.

თავი მეორე - „კარგი და ცუდი შეხება“ - საშუალებას გვაძლევს ვასწავლოთ ბავშვებს, რომ შეხება შეიძლება იყოს „კარგი“ ან „ცუდი“, „უხერხული“, „უსაფრთხო“ ან „საფრთხისშემცველი“. წიგნის კითხვისას და ბავშვთან საუბრისას თქვენ შეძლებთ ბავშვს ასწავლოთ სხეულის ენა, სახის გამომეტყველების ამოცნობა. ეს ცოდნა საშუალებას აძლევს ბავშვებს, გამოიმუშაონ უნარები, დააწესონ საზღვრები. არა-სასურველი, ცუდი ან საფრთხის შემცველი შეხებისას უმაღ იმოქმედონ. ბავშვს ადრეული ასაკიდან შესწევს უნარი განასხვაოს უსაფრთხო და საფრთხისშემცველი შეხება.

თავი მესამე - „უნდა ვთქვათ არა“ - ამ თავში წარმოდგენილი ორი მოთხრობა დაეხმარება მშობლებსა და მზრუნველებს მცირენლოვან ბავშვებთან გამართონ საუბარი საკუთარი საზღვრების დაწესების შესახებ. ჩვენი მიზანია მათ ვასწავლოთ, რომ შეუძლიათ თქვან „არა!“ იმ ქმედებასა ან შეხებაზე, რომელიც მათ არ მოსწონთ. მათ უნდა იცოდნენ, რომ უნდა თქვან ან „არა“, ან „გაჩერდი!“; მათი პასუხი თუ არ იქნება გათვალისწინებული, სასწრაფოდ უნდა განერიდონ არასასიამოვნო გარემოს და აუცილებლად უნდა გაუზიარონ ეს მშობელს ან სანდო ადამიანს. უპირობოდ, მათ „არასოდეს უნდა შეინახონ შეხების საიდუმლო“.

ბავშვზე სექსუალური ძალადობის პრევენციის მნიშვნელოვანი კომპონენტია პატარებთან ადრეული ასაკიდანვე ღია და ხშირი საუბარი. სავალდებულოა მათთან პირადი უსაფრთხოების შესახებ, შიშველ სხეულზე, უსაფრთხო და საფრთხის შემ-

ცველ შეხებაზე ლაპარაკი, ამავდროულად ეს არც ისე მარტივია. ხშირად დიდებს უჭირთ საუბრის დაწყება და შესაფერისი სიტყვების მოძებნა. უმეტესად ბავშვიც დაძაბულია, უხერხულად გრძნობს თავს, როდესაც საუბარი სხეულის ინტიმურ ნაწილებს ეხება. თუმცა ბევრი ბავშვი თავისუფლად ავლენს თავის აზრს, შეუძლია საკუთარი ხედვა ღიად და დაუფარავად გამოხატოს.

ბავშვთან საუბარი შედარებით მარტივი იქნება ტექტის თანხმლები შეკითხვების ნიმუშების მიხედვით. თქვენ შეგიძლიათ მიამატოთ კითხვა ან რომელიმე შეცვალოთ თქვენი სურვილის მიხედვით. ამ სახელმძღვანელოში მოცემულია პრაქტიკული და ადვილად ასათვისებელი რჩევები, რომლებიც დაგეხმარებათ ბავშვთან სასაუბროდ. გამოიყენეთ ისინი თქვენი თავდაჯერებულობისა და შემართებისთვის, რაც უცილობლად გესაჭიროებათ ბავშვებთან უსაფრთხოების შესახებ საუბრისას.

შექმენით კომფორტული გარემო - პირად უსაფრთხოებაზე, ამ მგრძობიარე თემაზე, საუბრისთვის საჭიროა თბილი და მყუდრო სიტყუაცია. ბავშვმა თავი უნდა იგრძნოს უსაფრთხოდ და კომფორტულად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მას შეეძლოს თავისუფლად ყოველგვარი კითხვის დასმა და ეჭვების გაზიარება. ნებისმიერი დრო და ადგილი, სადაც სიმშვიდე და სიმყუდროვეა, შესაფერისა ბავშვთან სასაუბროდ. თქვენს ყოველდღიურ დატვირთულ განრიგში გამონახეთ საშუალება, რომ ბავშვთან განმარტოვდეთ.

პატარებთან საუბარი მოკლე და მარტივი უნდა იყოს - დაუსვით ღია კითხვები და ყურადღებით მოუსმინეთ ნებისმიერ ნათქვამს, დააკვირდით მათ ქცევას. თუ ამჩნევთ, რომ ბავშვი მზად არ არის ინფორმაციის მისაღებად, ეს ნორმალურია - მოგვიანებით სცადეთ... საუბრი გულახდილი უნდა იყოს და ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი უშუალო კომუნიკაციის დამყარებაა. ასევე, თუ ბავშვს საუბრის გაგრძელების სურვილი არ აქვს, არ დააძალოთ. გადადეთ საუბარი, მაგრამ ეცადეთ მალევე გააგრძელოთ. გაითვალისწინეთ, რომ მოზრდილ ბავშვებს ხშირად უადვილდებათ ლაპარაკი, როცა პირდაპირ არ უყურებენ მოსაუბრეს. შესაძლოა, საუბრის გასაგრძელებლად საუკეთესო იყოს მანქანით გასეირნება, თამაში ან ერთად საჭმლის მომზადება.

მზად იყავით სათანადო რეაგირებისთვის - თუ ბავშვი გაგიმხელთ რაიმე შეუსაბამო ქცევის შესახებ ინფორმაციას, შეინარჩუნეთ სიმშვიდე. შემდეგ ფრთხილად, უარყოფითი ემოციის, გაბრაზების გამოხატვის გარეშე დაარწმუნეთ ის, რომ გჯერათ მისი და მუდამ დაიცავთ მის უსაფრთხოებას. ნუ აჩქარდებით, დაუინებით არ მოითხოვოთ დეტალები. შეგიძლიათ თქვენი თანადგომა ამ სიტყვებით გამოხატოთ ბავშვთან: „მიაშე მეტი, რა მოხდა შემდეგ?”, „ვიცი დიდი გამბედაობა დაგჭირდა, რომ მოგეყოლა ამის შესახებ. მე მჯერა შენი”, „ყველაფერი კარგად იქნება. მე შემიძლია დაგეხმარო, დაგიცვა შენ, რადგან შენ გამიმხილე ეს ამბავი.”

ბანაობის პროცესი კარგი დროა სხეულის ყველა ნაწილის სწორი სახელის სწავლების ან გამეორებისთვის. გართობა და თამაშიც შეიძლება იყოს შესაფერისი დრო უსაფრთხო და საფრთხისშემცველი შეხების ძირითადი წესების გამეორებისა თუ სწავლების დასაწყებად. ასწავლეთ ბავშვს, რომ შეხებაზე უარის თქმა ყოველთვის შეუძლია, მაშინაც კი, თუ ეს სახალისოდ ეჩვენება. ძილის წინ, როცა ბავშვს აწვენთ დასაძინებლად, შეგიძლიათ ერთად წაიკითხოთ ან დაუსვათ ღია კითხვები წიგნის იმ თემებსა ან სიტუაციებზე, რომლებიც უკავშირდება პირად უსაფრთხოებას, შემდეგ კი უსურვეთ ტკბილი ძილი.

მცირენლოვანი ბავშვები სწავლობენ გამეორებით, ამიტომ ხშირად ესაუბრეთ მათ.

დავიცვათ ჩვენი შვილები!

წარმატებას გისურვებთ!

ნაწილი პირველი

## თური სხეულის მასახური

ბავშვებთან შიშველ სხეულზე საუბარი არც ისე მარტივია. ხშირად დიდები თავს არაკომფორტულად გრძნობენ, უჭირთ საუბრის დაწყება და შესაფერისი სიტყვების მოძებნა. შიშველ სხეულზე საუბარი არც ბავშვებისთვის არის იოლი. ზოგი ბავშვი თავისუფლად საუბრობს, შეუძლია საკუთარი აზრის ღიად და დაუფარავად გამოხატვა. ზოგიერთს უჭირს, თავს არაკომფორტულად გრძნობს და დაძაბულია, როცა საქმე მის შიშველ სხეულს ეხება.

ეს თავი დიდებს დაეხმარება, რომ შედარებით თავისუფლად შეძლონ მცირენლოვან ბავშვებთან (2 -დან 5 წლამდე) სხეულზე, მის ნაწილებსა და სიშიშვლეზე საუბარი. ჩვენი მიზანია გავაცნობიერებით პატარებს, რომ სასქესო ორგანოები მათი სხეულის ბუნებრივი ნაწილებია და მათ აქვთ სახელი და ფუნქცია, ისევე როგორც მათ ყურებს, მუცელსა და ხელებს. ბავშვებთან მსგავსი საუბრები სხეულის ნაწილების შესახებ საკუთარი სხეულის მიმართ კეთილგანწყობას იწვევს. ასევე, ასწავლის მათ უსაფრთხოებისთვის ძალიან მნიშვნელოვან, ფიზიკური კონტაქტის, დასაშვებ საზღვრებს. სხეულის ნაწილების სწორი სახელის სწავლება ბავშვს ულრმავებს თვით-რწმენასა და თავდაჯერებულობას - კვლევები ადასტურებს, რომ კარგად ინფორმირებული ბავშვები იშვიათად ხდებიან დამნაშავეთა სამიზნე. ასევე, დაზარალების შემთხვევაში ბავშვს შეუძლია გადახდენილი ამბის ზუსტად აღწერა.

წიგნში შეხვდებით სასქესო ორგანოების სხვადასხვა სახელს, რომელთაც 2-დან 5 წლამდე პატარების უმეტესობა იცნობს. შემოთავაზებული სიტყვები შეგიძლიათ შეცვალოთ იმ სახელებით, რომლებსაც თავად უწოდებთ. ბავშვთან საუბარს გაგიმარტივებთ ტექსტზე თანდართული შეკითხვების ნიმუშები. თქვენ შეგიძლიათ თავისუფლად გამოიყენოთ ის ან დაამატოთ შეკითხვა, ან შეცვალოთ.

ბავშვი როგორც კი ლაპარაკს დაიწყებს, შეგიძლიათ მას სხეულის ნაწილების სწორი დასახელება ასწავლოთ.

მცირენლოვანი ბავშვები სწავლობენ გამეორებით, ამიტომ ხშირად ესაუბრეთ მათ.

ეს ნიკა და მაკაა.

ისინი დღეს ცურვაზე მიდიან.

ნიკა და მაკა ჩანთას ალაგებენ.

რა მიაქვთ ნიკას და მაკას?



გარეთ ცივა.

ნიკა და მაკა თბილად იცვამენ.

შენ რით ერთობი გარეთ?



ნიკა და მაკა მიდიან.

ისინი აუზზე მიდიან.

რომელია ნიკა და რომელია მაკა?

როგორ გამოიცანი?



ნიკა და მაკა აუზზე არიან.  
ისინი ტანსაცმელს იხდიან.

რა აცვიათ აუზისთვის?



ნიკა და მაკა წყალში თამაშობენ.  
რომელია ნიკა და რომელია მაკა?

როგორ მიხვდი ამას?



ძალიან კარგი იყო აუზში.

ნიკა და მაკა აუზის შემდეგ შხაპს იღებენ.

აცვიათ რამე შხაპის მიღებისას?



ნიკა შიშველია.

როგორც ყველა ბიჭს, ნიკას აქვს პენისი/კუტუ, რომლითაც  
ფისის შვრება.

შენ ბიჭი ხარ?  
შენ რას ეძახი პენისს/კუტუს?



ეს არის მაკა, იგი შიშველია.

როგორც ყველა გოგოს, მაკას აქვს ვულვა/ფუჩუ, რომლითაც იგი ფისის აკეთებს.

შენ გოგო ხარ?

შენც ვულვას/ფუჩუს ეძახი იმას, რითიც ფისის შვრები?




უუუფფფ, როგორ ცივა, როცა შიშველი ხარ!  
ნიკამ და მაკამ საღამური ჩაიცვეს.  
ძილის წინ ნიკა და მაკა ფისის შვრებიან.


შენ როგორ შვრები ფისის?  
ქოთანზე თუ უნიტაზში?




- ძილი ნებისა, ნიკა.
- ტკბილი ძილი, მაკა.



რა ჰქვია სხეულის ამ ნაწილებს?



რა ჰქვია სხეულის ამ ნაწილებს?  
რას აკეთებ სხეულის ამ ნაწილებით?  
შეგიძლია მაჩვენო ისინი შენს სხეულზე?





ნაწილი მეორე

## კური ღა ცეილ გახდა

შესავალი

ყოველდღიურ ურთიერთობაში დიდებიც და პატარებიც ერთმანეთს ეხებიან. ეს ჩვეულებრივი და ბუნებრივი მოვლენაა. შეხება შესაძლოა იყოს წინასწარ გამიზნული ან შემთხვევითი. ასევე, შეხება შეიძლება იყოს სასურველი ან არასასურველი, უსაფრთხო ან საფრთხისშემცველი.

შეხების სხვადასხვა ფორმის სწავლებით, ბავშვები სწავლობენ განსხვავებას შემთხვევით და წინასწარგანსაზღვრულ შეხებებს შორის; განსხვავებას კარგ, სასურველ, ცუდ და არასასურველ შეხებებს შორის.

მცირე ასაკიდანვე ბავშვებისათვის შეხების ფორმების სწავლება მათ გაუადვილებთ კარგ და ცუდ, სასურველ და არასასურველ, უსიამოვნო, უსაფრთხო თუ საფრთხის-შემცველ შეხებებს შორის გარკვევას; არ აქვს მნიშვნელობა, ეს შეხება ვისგან იქნება: უცხო ადამიანების, ოჯახის წევრისა თუ ნაცნობებისგან.

ამ თავის მიზანია ვასწავლით მცირენლოვან ბავშვებს (2-დან 5 წლამდე), რომ შეხება შეიძლება იყოს „კარგი“ ან „ცუდი“, „უსაფრთხო“ ან „საფრთხისშემცველი“. ამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახის გამომეტყველების და სხეულის ენის ამოცნობა. ეს ცოდნა დადებითად მოქმედებს ბავშვების უზარებზე, დააწესონ საზღვრები, როცა შეხება არასასურველი, ცუდი ან საფრთხისშემცველია.

ბავშვებს ადრეული ასაკიდან შეუძლიათ უსაფრთხო და არაუსაფრთხო შეხებებს შორის განსხვავების ამოცნობა და საზღვრების დაწესება. მცირენლოვანი ბავშვები სწავლობენ გამეორებით, ამიტომ მათ ხშირად ესაუბრეთ პირად უსაფრთხოებასა და არაუსაფრთხო შეხებაზე.

გაიღვიძე, მაკა!

რას შვრება დედა?  
რას ფიქრობს მაკა?



ნიკამ უკვე გაიღვიძა.

რას აკეთებს დედა?  
რას ფიქრობს ნიკა?



ნიკა და მაკა გარეთ თამაშს აპირებენ.

რას აკეთებს დედა?  
რას ფიქრობს მაკა?



ნიკას სასრიალოზე ჩამოსრიალება სურს,  
მაგრამ ჯერ სანდროს უნდა ჩამოსრიალება.

როგორ იქცევა სანდრო?  
რას ფიქრობს ნიკა?



სესილის მაკასთან ერთად ქვიშაში უნდა თამაში,  
მაგრამ მაკას საქანელაზე ქანაობა ურჩევნია.

რას შვრება სესილი?  
რას ფიქრობს მაკა?



ნიკას უნდა საქანელაზე დაჯდომა.

როგორ იქცევა ნიკა?  
რას აკეთებს მაკა?



ბოდიში მაკა, – ამბობს ნიკა.  
მაპატიე ნიკა, – ამბობს მაკა.

რას აკეთებენ ნიკა და მაკა?  
რას ფიქრობენ ისინი?



ნიკა და მაკა სახლში არიან, უკვე თამაშით დაღლილები.

რას შვრებიან ნიკა და მაკა?  
რას ფიქრობენ ისინი?



ახლა ისინი შხაპს იღებენ.

რას აკეთებს ნიკა?  
რას აკეთებს მაკა?




ნიკა დასაძინებლად ემზადება.

რას აკეთებს დედა?  
რას ფიქრობს ნიკა?



- ტკბილი ძილი, ნიკა.
- ტკბილი ძილი, მაკა.





ნაწილი მესამე

## თელა ვთევათ არა

შესავალი

ბავშვები, შესაძლოა, აღმოჩნდნენ ისეთ სიტუაციებში, სადაც თავს არაკომფორტულად იგრძნობენ ან, თუნდაც, საფრთხე დაემუქრებათ. ამ ასაკში მათ ჯერ კიდევ არ აქვთ გამომუშავებული უსაფრთხოების უნარ-ჩვევები და მათ ახლობლების მხარდაჭერა სჭირდებათ. ამ თავში წარმოდგენილი ორი მოთხოვნა საშუალებას აძლევს მშობლებსა და მზრუნველებს მცირენლოვან ბავშვებთან (2-დან 5 წლამდე) დაინტენ საუბარი საკუთარი საზღვრების დაწესების შესახებ.

ჩვენი მიზანია ბავშვებს ვასწავლით, რომ მათ შეუძლიათ თქვან „არა“ იმ ქმედებასა ან შეხებაზე, რომელიც მათ არ სურთ; პატარებმა უნდა იცოდნენ, რომ უმაღლ თქვან: „არა“ ან „გაჩერდი“; განერიდონ არასასიამოვნო გარემოს და აუცილებლად უთხრან მშობელს ან სანდო ადამიანს. ბავშვებმა ადრეული ასაკიდანვე უნდა განასხვაონ ერთმანეთისგან უსაფრთხო და საფრთხისშემცველი შეხება.

ასწავლეთ მათ მარტივი წესები, მაგალითად, „არასოდეს შეინახონ შეხების საიდუმლო“. ასწავლეთ, რომ მოუსმინონ და გაითვალისწინონ, როცა ვინმე ამბობს „არას“ ან „გაჩერდის“ და ყოველთვის შეუძლია თქვას: „შეჩერდი, მე ეს არ მომწონს.“

გართობის დრო კარგი შესაძლებლობაა უსაფრთხო და საფრთხისშემცველი შეხებისა და პირადი საზღვრების ძირითადი წესების ასახსნელად. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ შეხებაზე შეიძლება უარის თქმა, თუნდაც ეს იყოს ახლობლის ჩახუტება ან ისეთი თამაში, რომელიც სახალისო გეჩვენებათ. ერთად ივარჯიშეთ თავდაჯერებული „არას“ თქმაზე.

მცირენლოვანი ბავშვები სწავლობენ გამეორებით, ამიტომ მათ ხშირად შეახსენეთ უსაფრთხოების წესები.

ნიკა ბურთით თამაშობს.  
მშვენიერია!

შენც მოგწონს ბურთით თამაში?



მოვიდა მეზობელი ბიჭი, თომა.  
ის ნიკაზე ბევრად დიდია.

გამომიგორებ ამ ბურთს? – დაიძახა თომამ.

რას ფიქრობს ნიკა?



თომა ბურთს იგერიებს.  
ისინი ერთად თამაშობენ ფეხბურთს.

შენ რას ფიქრობ, ნიკას მოსწონს ეს?



თომას ფისი მოუნდა.  
ის ხესთან მივიდა.

ამას ტუალეტში აკეთებენ, – უთხრა ნიკამ.

შენ რას ფიქრობ ამაზე?  
შენ როდესმე გაგიკეთებია ასე?



მაჩვენე შენი პენისი, შენი კუტუ! – უთხრა თომამ ნიკას.

რას ფიქრობს ნიკა?  
რას ფიქრობ შენ?



არა! – ამბობს ნიკა.  
ის გარბის.

ნიკამ დედას უამბო, რაც გადახდა თავს.  
კარგია, რომ მითხარი... – ეუბნება დედა.

შენ ვის ეტყვი, როდესაც ისეთი რამ შეგემთხვევა, რაც არ  
მოგწონს?



არავინ არ უნდა უყუროს შენს პენისს/კუტუს. – ამბობს დედა.

შენი კუტუ შენია! სხვა ადამიანი, ბავშვი ან დიდი, არასოდეს არ უნდა შეეხოს მას.

მას ეხება დედა ან მამა, როდესაც ისინი ზრუნავენ შენს სი-სუფთავეზე - გაბანავებენ, გიცვლიან ტანსაცმელს. ზოგჯერ ექიმი, როდესაც ზრუნავს შენს ჯანმრთელობაზე.

ვის შეუძლია შენი კუტუს ნახვა?



დეიდა თინა სტუმრად მოდის.  
ძალლი ახტება.

რას გრძნობს ძალლი?



მოდი, მოდი აქ, – ამბობს მაკა.

რას აკეთებს მაკა?



თავი დაანებე ძალლს, – ამბობს დეიდა თინა.  
მოდი, ჩემთან დაჯექი.

უნდა ეს მაკას?



მოდი, მაკოცე! – ამბობს დეიდა თინა.

რას აკეთებს დეიდა თინა?  
მაკას უნდა კოცნა?




არა, მე ეს არ მინდა, – ამბობს მაკა.

იგი ეუბნება დედას.

კარგია, რომ მითხარი, – ამბობს დედა.

შენ ვის უზიარებ იმას, რაც არ მოგწონს?



შენი არჩევანია, ვის აკოცებ, – ამბობს დედა.  
შენი კოცნა შენია!

ვის არ გინდა, რომ აკოცო?



ოჲ, მაშინ არავითარი კოცნა! – ამბობს დეიდა თინა.  
გაქვთ რაიმე გემრიელი ყავასთან ერთად?

შენ რას ფიქრობ, დეიდა გაბრაზდა იმის გამო, რომ მაკამ უარი  
თქვა?



საღამოა.

ძილის დროა.


მაკა და ნიკა შხაპს იღებენ.

რას აკეთებს მაკა?

რას აკეთებს ნიკა?



- ძილი ნებისა, ნიკა.
- ტვბილი ძილი, მაკა.



პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ, პროექტის: „ბავშვობა ძალადობის გარეშე - ერთობლივი ძალისხმევა ბავშვზე ძალადობის პრევენციით, სათანადო რეაგირებითა და მხარდაჭერით“, ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ბავშვის საერთაშორისო კათოლიკურ ბიუროსთან თანამშრომლობით.

პროექტი დაფინანსებულია საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა და საერთაშორისო დახმარების ფონდის მიერ.



თბილისი  
2022



